



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 013/20¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა კიკნაძე (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება 2018 წლის 10 აპრილს დაიდო სამოქალაქო დავაზე. ადვოკატს მოპასუხეების მხრიდან მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელი უნდა წარედგინა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი მას თვეების განმავლობაში აწვდიდა არასწორ ინფორმაციას როგორც მის მიერ განხორციელებულ ქმედებებსა და საქმის მსვლელობაზე, ასევე კანონმდებლობით დადგენილ ვადებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, ადვოკატი თავის ვალდებულებას არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად ასრულებდა, რაც გამოიხატება სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების შესახებ განცხადებისა და სარჩელის წარუდგენლობაში. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სხვა ადვოკატის აყვანის შესაძლებლობის მოსპობის მიზნით ადვოკატი აჭიანურებდა მისთვის საქმის მასალების დაბრუნებას, რაც საბოლოოდ მაინც მიიღო. საჩივრის ავტორი აღნიშნავს იმ გარემოებასაც, რომ ადვოკატმა მას გადაცემული საადვოკატო მომსახურების თანხა სრულად დაუბრუნა და შეპირდა ზიანის ანაზღაურების სახით გარკვეული თანხის გადაცემას, რომლის ოდენობაზეც ისინი ვერ შეთანხმდნენ. შესაბამისად, სარჩელის ავტორი ზემოთ აღნიშნული ქმედებების საფუძველზე და ადვოკატის უმოქმედობით მისთვის მიყენებული ზიანის გამო ითხოვს ა. ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას. საჩივრის ავტორის მიერ მოყვანილი ფაქტებისა და არგუმენტების საპირისპიროდ, ადვოკატი განმარტავს, რომ სარჩელის ავტორის მიერ გამოთქმული პრეტენზიები არ შეესაბამება სინამდვილეს და იგი უსაფუძვლოა, რადგანაც მისი ყველა ქმედება იყო მიმართული აღნიშნული კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ის აპელირებს იმ გარემოებებზე, რომ კლიენტმა მას არ მიაწოდა საკმარისი მტკიცებულებები, რაც გახდა მის მიერ სარჩელის აღძვრამდე მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასა და სარჩელის მიღებაზე სასამართლოს უარის საფუძველი. ადვოკატი ასევე აღნიშნავს, რომ მისი ყოფილი კლიენტის მიზანს წარმოადგენდა არა მოპასუხისგან თანხის ამოღება, არამედ მოპასუხის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდება. ადვოკატი მიუთითებს ასევე იმ ფაქტზე, რომ იგი კლიენტს დაეხმარა სხვა დავაში სარჩელისა და შესაგებელის მომზადებაში და სწორედ მისი ინიციატივა იყო შეეწყვიტათ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, რაც გამოიწვია საქმის შესახებ კლიენტის მიერ არასაკმარისი, მწირი ინფორმაციის მიწოდებამ. მასსა და კლიენტს შორის კომუნიკაციას ართულებდა ის, რომ მას კლიენტთან ურთიერთობა კლიენტის თანაშემწის საშუალებით უწყევდა. ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატმა ვედარ შეძლო კლიენტის წარმომადგენლობა და მას სრულად დაუბრუნა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა კლიენტის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად მომსახურების, ასევე კლიენტის ინფორმირების ვალდებულების სტანდარტებით. ადვოკატმა კლიენტის ინტერესებისკენ უნდა მიმართოს მის ხელთ არსებული კანონით მინიჭებული ყველანაირი საშუალება, ადვოკატის მიერ განხორციელებული ყველა ქმედება უნდა

¹ გადაწყვეტილება 013/20, თარიღი 24.01.2020,

<https://gba.ge/pdf/5fe232e2505a4.pdf/013.20%20ar%20agdsvra%2024.09.2020.pdf>

ემსახურებოდეს კლიენტის ღირსეულად დაცვასა და წარდგენას. მას ევალება დაცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა შეათანხმოს კლიენტთან, ამომწურავად მიაწოდოს მას საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. კომისიამ გამოიკვლია მის ხელთ არსებული, მათ შორის, ადვოკატის მიერ მოწოდებული ყველა მტკიცებულება და თავისი შეფასება ჩამოაყალიბა შემდეგნაირად, რომ ადვოკატმა კლიენტის მოთხოვნისა და მისი ინტერესების საფუძველზე განახორციელა შემდეგი მოქმედებები: ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით განცხადება, შემდეგ სარჩელი და შესაგებელი სხვა დავაში. სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებების საფუძველზე კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე შეტანილი განცხადება მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით არ იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო შემდგომში წარდგენილი სარჩელი არ იქნა წარმოებაში მიღებული. კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ადვოკატის ქმედებები სრულად იყო შეთანხმებული კლიენტთან, შესაბამისად კლიენტს საქმის მსველელობასთან და ადვოკატის მიერ განხორციელებულ ყველა ქმედებასა თუ სტრატეგიასთან დაკავშირებით მიეწოდებოდა სრული და ამომწურავი ინფორმაცია. ზემოთ აღნიშნული გარემოებებისა და ადვოკატის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების (სოციალური ქსელის ფეისბუქის მესენჯერიდან და მეილიდან ამონაწერის) თანახმად დასტურდება, რომ ადვოკატის ახსნა-განმარტება წარმოადგენს სრულ სიმართლეს - მის მიერ წარდგენილი მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადება და სარჩელი მართლაც არ იქნა დაკმაყოფილებული და წარმოებაში მიღებული, ადვოკატი კლიენტს აწვდიდა სრული მოცულობით სწორ ინფორმაციას, საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის არსებული ურთიერთობა სწორედ ადვოკატის მოთხოვნით შეწყდა, მან ადვოკატის ეთიკის სტანდარტის დაცვით სრულად დაუბრუნა ყოფილ კლიენტს მისგან მიღებული ჰონორარი და საქმის მასალები, ასევე კლიენტს ადვოკატის ასაყვანად გონივრული დრო მისცა. კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედებები მიმართული იყო კლიენტის ინტერესებისა და მოთხოვნების შესრულებისკენ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოცემული სამოქალაქო დავა ისევ მიმდინარეობს, სავარაუდო ზიანი კი სახეზე არ არის, კომისიამ ვერ შეაფასა ის თუ რამდენად მიადგა საჩივრის ავტორს ადვოკატის ქმედებებით ზიანი. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებები იქნა მიჩნეული ეთიკურად, იგი კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად და ჯეროვნად ახორციელებდა თავის პროფესიულ ვალდებულებას, სრულ ინფორმაციას აწვდიდა კლიენტს მის მიერ განხორციელებული ქმედებების, ტაქტიკისა და სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებების შესახებ, მასსა და კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ კი მისცა მას გონივრული ვადა სხვა ადვოკატის ასაყვანად, დაუბრუნა ჰონორარი და საქმის მასალები.

დასკვნა:

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატთა შესახებ კანონის 5(ა), 6.2 მუხლებისა და აპეკ-ის 8.5, 8.6 მუხლების საფუძველზე.